

თიბისი ბანკის კონკურსი

თიბისი ბანკი აცხადებს კონკურსს: „თიბისი - სტუდენტებისათვის“

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ნაშრომის მომზადება თემაზე:
„მობილური ტელეფონი - საბანკო მომსახურების განხორციელების ახალი არხი“

ნაშრომში განხილულ უნდა იქნას, მობილური ტელეფონის და საბანკო მომსახურების გაერთიანების მსოფლიოში არსებული მაგალითები და ავტორის აზრით საქართველოში ამგვარი მომსახურების დანერგვის პერსპექტიულობის ანალიზი.

ნაშრომის ჩაბარების ბოლო ვადაა 30 მაისი.

მოთხოვნები

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნებისმიერი კურსის სტუდენტს.
- ნაშრომის მოცულობა: მინიმუმ 6 A4 ზომის გვერდი, მაქსიმუმ 15 A4 ზომის გვერდი.
- ფონტი – AcadNusx; ფონტის ზომა : 11
- ნაშრომს აუცილებელი წესით დართული უნდა ჰქონდეს თავი “რეკომენდაციები” სადაც ჩამოყალიბებული იქნება ავტორის კონკრეტული რეკომენდაციები თიბისი ბანკის მიმართ სტუდენტურ სესხთან დაკავშირებით.
- ნაშრომი უნდა მოწოდებულ იქნას დაბეჭდილი და ელექტრონული სახით.

შეფასება

კონკურსის მონაწილეების შეფასება ორ-ეტაპიანია:

- I ეტაპი: უნივერსიტეტის ჟიურის მიერ 5 საუკეთესო ნამუშევრის შერჩევა
- II ეტაპი : თიბისი ბანკის მიერ 3 გამარჯვებულის გამოვლენა

დაჯილდოვება

- გამოვლინდება 3 საუკეთესო ნამუშევრის ავტორი.
- I ადგილის მფლობელს გადაეცემა 400 ლარი, II ადგილის მფლობელს 300 ლარი და III ადგილის მფლობელს – 200 ლარი.
- გამარჯვებულებს გადაეცემათ თიბისი ბანკის სერტიფიკატები.
- დაჯილდოვების ცერემონია შედგება უნივერსიტეტში.

რეგისტრაცია

- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია წინასწარი რეგისტრაციის გაგლა. რეგისტრაციის ბოლო ვადაა 23 მაისი.
- რეგისტრაციისთვის სტუდენტებმა უნდა მიმართონ „სტუდენტებთან კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის და კარიერის სამსახურს“ სტუს ადმინისტრაციული კორპუსი 2-ე სართული , ოთახი 243. ტელ: 36 53 45